

შეთანხმება
სუამის მონაწილე სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა სამინისტროებს
შორის დიპლომატიური წარმომადგენლების მომზადების შესახებ

აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, მოლდოვას რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო და უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო, შემოდგომში „მხარეებად“ წოდებულნი, ითვალისწინებენ რა თავიანთ ქვეყნებსა და ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ტრადიციულ ურთიერთობებს, ისწრაფვიან რა მათი შემდგომი განვითარებისაკენ, მაღალ შეფასებას აძლევენ რა სუამის მონაწილე სახელმწიფოებს შორის მრავალმხრივი ურთიერთქმედების განვითარებას, აღნიშნავენ რა მხარეებისათვის სამეცნიერო ინფორმაციის გაცვლისა და საგარეო ურთიერთობების სფეროში პრაქტიკული გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობას, აღიარებენ რა თანამშრომლობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას დიპლომატიური თანამშრომლების მომზადებასთან დაკავშირებით ურთიერთპატივისცემის, ნდობისა და თითოეული მხარის ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე, ადასტურებენ რა კავშირგაბმულობის მექანიზმის სრულყოფისა და მხარეებს შორის ზემოაღნიშნულ დარგში ეროვნულ და რეგიონალურ დონეებზე თანამშრომლობის აუცილებლობას, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ხელმძღვანელობენ რა სახელმწიფოთა დიპლომატიური სამსახურების მოთხოვნებით, მხარეები განახორციელებენ შეთანხმებულ საქმიანობას, რომლის მიზანია თავიანთი დიპლომატიური წარმომადგენლების (შემდგომში - მსმენელების) მხარეთა სასწავლო დაწესებულებებში მომზადება ამ შეთანხმებითა და მისი დამატებითი ოქმებით (შემდგომში - დამატებითი ოქმები) განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

მუხლი 2

მსმენელთა სწავლება წარიმართება მხარეთა სასწავლო დაწესებულებებში სახელმწიფო ენაზე იმ გეგმებისა და პროგრამების თანახმად, რომლებიც მიღებულია მხარეთა სასწავლო დაწესებულებებში მსმენელთა მომზადების დონის გათვალისწინებით. აუცილებლობის შემთხვევაში მხარეები შეთანხმებენ სწავლების გეგმებსა და პროგრამებს. მხარეები არ მოსთხოვენ მსმენელებს ისეთი დავალებების შესრულებას, რომლებიც არ არის დაკავშირებული მათ სწავლებასთან სასწავლო დაწესებულებებში და სცილდება მათი, როგორც მსმენელების, მოვალეობების შესრულების ფარგლებს. მსმენელები სარგებლობენ ყოველწლიური შვებულებით სასწავლო გეგმით განსაზღვრული ვადით.

მუხლი 3

დამატებითი ოქმები დაიდება მხარეების მიერ სწავლის დაწყების წლის წინა წელს (თარიღი, თვე). ოქმები ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს. დამატებით ოქმებში მიეთითება:

- სასწავლო დაწესებულებების სახელწოდებები;
- მსმენელთა რაოდენობა, ცალკე სწავლების სრული ვადისათვის და მოკლევადიანი კურსებისათვის;
- სწავლების სპეციალობა და სპეციალიზაცია;
- მსმენელის თანამდებობა, სახელი, გვარი, დიპლომატიური რანგი და განათლების დონე;
- საცხოვრებლით უზრუნველყოფის პირობები;
- სწავლების ვადები;
- ენის კურსის გავლის აუცილებლობა, რომელიც აგრეთვე ითვალისწინებს სპეციალური ტერმინოლოგიის ათვისებას;
- მხარეთა საფინანსო ანგარიშსწორების პირობები.

მუხლი 4

სასწავლო დაწესებულებებში ჩასვლისას მსმენელებს თან უნდა ჰქონდეთ:

- ავტობიოგრაფია;
- დოკუმენტების (უმადლესი განათლების შესახებ) დამოწმებული ასლები;
- უცხოეთში გასამგზავრებელი პასპორტი;
- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომლის გაცემის თარიღი არ უნდა აღემატებოდეს ორ თვეს;
- შიდაზე უარყოფითი გამოკვლევის შესახებ დოკუმენტი;



- დაზღვევის პოლისი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გასაწევად;
- დაბადების მოწმობის დამოწმებული ასლი;
- 6 ფოტო სურათი (40 X60 მმ);
- სამშობლოში დასაბრუნებელი ბილეთი ღია თარიღით, რომლის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ წელს.

თუ მსმენელი არასაპატიო მიზეზით არ ჩავა სასწავლო დაწესებულებაში სასწავლებლად სწავლის დაწყების დადგენილი თარიღიდან 15 დღის ვადაში, იგი გაირიცხება სასწავლო დაწესებულებიდან, რის შესახებაც ეცნობება მის წარმგზავნ მხარეს.

მსმენელებმა უნდა დაიცვან ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობა და პატივი სცენ მისი ხალხის წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს.

მუხლი 5

- სასწავლებლად მიმღები მხარე მსმენელებს უზრუნველყოფს:
- სამასწავლებლო შემადგენლობით და დამატებითი პერსონალით;
- სახელმძღვანელოებით, დამხმარე სახელმძღვანელოებით, საკლასო ოთახებისა და ლაბორატორიების მოწყობილობებით და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის საჭირო სხვა საშუალებებით, აგრეთვე სხვა მოწყობილობებით და მასალებით, რომლებიც აუცილებელია სასწავლო პროცესში სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შესაბამისად;
- ბიბლიოთეკებით, სამკითხველო დარბაზებით, სპორტული დარბაზებითა და სხვა შენობებით, რომლებიც აუცილებელია სასწავლო პროცესის წარმართვისათვის;
- საცხოვრებლებით მისი ნორმების შესაბამისად, რომლებიც დადგენილია სპეციალისტების შესაბამისი კატეგორიებისათვის (თუ სხვა წესი არ არის გათვალისწინებული დამატებითი ოქმით).

მუხლი 6

- სასწავლებლად წარმგზავნი მხარე უზრუნველყოფს:
- მსმენელების დროულ ჩასვლას სასწავლო დაწესებულებაში სასწავლებლად, აგრეთვე მათ გადაყვანას, სწავლის ადგილამდე მათი ტვირთის გადაზიდვას (საპირისპირო მიმართულებით ტვირთის გადაზიდვის ჩათვლით), უზრუნველყოფს მათ ბილეთებით და გადაყვანის დროს საცხოვრებლით;
 - მსმენელების მიერ შვებულების გატარების წესის განსაზღვრას, შვებულების გატარების ადგილამდე მგზავრობას და დამატებითი ოქმებით განსაზღვრულ ვადაში მათ დაბრუნებას;
 - მსმენელებისათვის ფულადი ანაზღაურების გადახდას (ხელფასი, სტიპენდია).
- ყველა სხვა შემთხვევაში მგზავრობის ღირებულების ანაზღაურება, რომელიც არ არის დაკავშირებული სწავლებასთან, ხორციელდება მსმენელების მიერ მათივე ხარჯებით.
- წარმგზავნი მხარე იღებს ზომებს თავისი მსმენელების მიერ სასწავლო დაწესებულებებში სწავლის დროს მასწავლებელთა ყველა რეკომენდაციის შესრულების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 7

მსმენელები, რომლებმაც სწავლის პერიოდში ჩაიდინეს სამართალდარღვევა, პასუხს აგებენ ადგილსამყოფელი ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მსმენელების შესახებ, რომლებიც არღვევენ ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობას, არ იცავენ საზოგადოებრივი წესრიგის წესებსა და სასწავლო დაწესებულების შინაგანწესებს, არ ასრულებენ სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აგრეთვე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სწავლის შემდგომი გაგრძელებისთვის ითვლებიან უვარგისად, მიმღები მხარე უგზავნის წარმგზავნ მხარეს დოკუმენტებს სასწავლო დაწესებულებებიდან მათ გარიცხვასთან და სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მისაღებად.

მუხლი 8

მიმღები მხარე უზრუნველყოფს მსმენელებს სამედიცინო დახმარებით, ხოლო, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მათ ჰოსპიტალიზებას მხარეთა სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9

მსმენელის მიმღები მხარის ტერიტორიაზე გარდაცვალების დროს სასწავლებლად წარმგზავნი მხარე თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს გარდაცვლილის სამშობლოში გადაგზავნასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელებას.

მსმენელის გარდაცვალების შესახებ მიმღები მხარე დაუყოვნებლივ აცნობებს სასწავლებლად წარმგზავნ მხარეს, ხოლო გარდაცვლილის სიკვდილის მიზეზებს დაადგენენ კომპეტენტური ორგანოები. მიმღები მხარე წარუდგენს სასწავლებლად წარმგზავნ მხარეს მსმენელის გარდაცვალებასთან დაკავშირებული მასალების ასლებს.

მუხლი 10

მსმენელს, რომელმაც აითვისა სასწავლო პროგრამა, ჩააბარა გამოცდები და დაიცვა დიპლომი (პროექტი, დავალება), ენიჭება კვალიფიკაცია სპეციალობის შესაბამისად, ეძლევა დიპლომი და სახელმწიფო



ნიმუშის სამკერდე ნიშანი.

მსმენელს, რომელმაც დაასრულა მოკლევადიანი კურსი, მიეცემა მოწმობა.

მუხლი 11

მსმენელთა სამეცნიერო და სადიპლომო ნამუშევრები, სამაგისტრო შრომები შეიძლება გადაეცეს წარმგზავნ მხარეს მიმღები მხარის სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად მსმენელების სწავლის დასრულებიდან ერთი წლის ვადაში.

მუხლი 12

ამ შეთანხმების რეალიზებისათვის მხარეები უფლებამოსილებას ანიჭებენ:

- ა) აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან - კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველოს;
- ბ) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან - ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს;
- გ) მოლდოვას რესპუბლიკის საგარეო საქმეთა და ევროპული ინტეგრაციის მხრიდან - კადრების სამმართველოს;
- დ) უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან - კადრების დეპარტამენტს.

მუხლი 13

ეს შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან, ხოლო იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთა შიდა კანონმდებლობა ითვალისწინებს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების შესრულებას, დეპოზიტარის მიერ დიპლომატიური არხების საშუალებით მხარეების მიერ ძალაში შესვლისათვის აუცილებელი ყველა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურის შესრულების შესახებ ბოლო წერილობითი შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მხარეთა წერილობითი თანხმობის საფუძველზე ამ შეთანხმებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ფორმდება ცალკეული ოქმებით და წარმოადგენს ამ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს. ზემოაღნიშნული ოქმები ძალაში შედის ამ შეთანხმების მე-13 მუხლით განსაზღვრული წესით.

ეს შეთანხმება იდება განუსაზღვრელი ვადით. თითოეულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ამ შეთანხმების მოქმედება, მაგრამ არა უადრეს 6 თვისა ასეთი განზრახვის თაობაზე მხარეებისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნიდან.

შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში მისი დებულებები გამოიყენება იმ მსმენელების მიმართ, რომლებმაც გაიარეს მომზადება ამ შეთანხმების ფარგლებში და შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის მომენტში არ დაუსრულებიათ სწავლების სრული კურსი და მოკლევადიანი კურსები.

შესრულებულია ქ. კიევში 2006 წლის 22 მაისს, ერთ დედას ეგზემპლარად ინგლისურ და რუსულ ენებზე, ამასთანავე, ორივე ტექსტი თანაბრად ავთენტიკურია.

- | | |
|---|-------------|
| აზერბაიჯანის რესპუბლიკის
საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელით | (ხელმოწერა) |
| საქართველოს საგარეო საქმეთა
სამინისტროს სახელით | (ხელმოწერა) |
| მოლდოვას რესპუბლიკის საგარეო
საქმეთა სამინისტროს სახელით | (ხელმოწერა) |
| უკრაინის საგარეო საქმეთა
სამინისტროს სახელით | (ხელმოწერა) |

